საქართველოს მთავრობის განკარგულება

№909 2016 წლის 20 მაისი ქ. თბილისი

„არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, ნოტების გაცვლის გზით, მოლაპარაკების გამართვის თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტების გაცვლის გზით, გაიმართოს მოლაპარაკება „არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**